სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N-6

ქ.ჩოხატაური *24 ივნისი 2015 წელი*

<u>თავმჯდომარეობდა:</u> დავით გუდავაძე

ესწრებოდნენ: გოჩა სეხნიაშვილი, ლაშა თოლორდავა, ალექსანდრე შარაშიძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, გოდერძი გოგიშვილი, დავით ვაჩეიშვილი, დიმიტრი კორიფაძე, თემურ ხუხუნაიშვილი,მანანა მინდაძე,კლოდი მდინარაძე.

მოწვეული:

საკრებულოს ქონების მართვის ეკონომიკური საკითხების კომისიის თავჯდომარე-მალხაზ ჩხიკვაძე.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი-ბექა შენგელია.

მუნიციპალური ქონების მართვის და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსი-ლელა მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკენომიკის და ინფრასტრუქტურის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის საკითხებში-გიორგი შენგელია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.

3. ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

4. კოსტავს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

5. შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალიდან ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტობუსი „პაზ-42-24“-ის (სახელმწიფო ნომერი - VZZ561; გამოშვების წელი - 2007; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - XIM42340070001647) ამოღების მიზნით, შ.პ.ს.

„ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

7. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

8. .ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლ.თოლორდავამ, ა.შარაშიძემ, კ.მდინარაძემ რომლებიც დაეთანხმნენ წარმოდგენილ პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

3. ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

4.კოსტავს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

5. შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალიდან ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტობუსი „პაზ-42-24“-ის (სახელმწიფო ნომერი - VZZ561; გამოშვების წელი - 2007; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - XIM42340070001647) ამოღების მიზნით, შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

7. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

8.ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი შენგელია

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>**მოისმინეს :**</u>

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

დ.კორიფაძემ აღნიშნა, რომ როდის მოხდა სახანძროს დაფინანსება გადასვლის შემდეგ თუ გადასვლამდე რაზეც ბექა შენგელიამ უპასუხა ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა სახაძრო სამაშველო სამსახურმა გაიყოლა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს.

II საკითხი:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

მანანა მინდაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული წესის მიღებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას მუნიციპალიტეტებში, როგორც კოოპერატივების ასევე საოჯახო მეურნეობების გაძლიერებას, საინტერესოა როგორ მოხდება ტერიტორიების დარეგისტრირება და შესყიდვა მიენეიჭება თუ არა უპირატესობა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს შესყიდვის დროს მალხაზ ჩხიკვაძემ განმარტა,რომ წარმოდგენილი წესი არეგულირებს მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებად დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დარეგისტრირების წესს. დარიგისტრირების დროს შესწავლილი იქნება თითოეული ნაკვეთი, რომ არ მოხდეს კერძო პირის წლების მანძილზე სარგებლობაში

არსებული, ზოგჯერ ფაქტიურად საკარმიდამო ნაკვეთების, მაგრამ დაურეგისტრირებელი მიწის ფართობების მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება, რათა ამით არ დაზარალდეს მოსახლეობა. რაც შეეხება აუქციონის დროს მიენეიჭება თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას უპირატესობა, ამის დარეგულირება კონკრეტულად ამ წესში ვერ იქნება გათვალისწინებული, თუმცა როდესაც შემუშავდება სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების წესი, იქ სასურველია რომ მოხდეს გათვალისწინება. ზოგ შემთხვეევაში კი უპირატესობა ბუნებრივად წარმოიშვება, მიწის ფართობის ადგილმდებარეობის გამო.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება</u>:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს.

III საკითხი: ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

3. ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

კ.კალანდაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის ხელშეკრულება გრძელდება მხოლოდ 6 თვის ვადით, რაც ჩემი აზრით მცირე დროა. რა მოხდება აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ

მალხაზ ჩხიკვაძემ განმარტა, რომ ვადის გახანგრძლივება მოთხოვნილია უზურფრუქტის მიერ, შესაძლებელია რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დღის წესრიგში კვლავ დადგეს ხელშეკრულების ახალი ვადის გახანგრძივება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ,განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს.

IV საკითხი: კოსტავს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

4. კოსტავს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

მ. მინდაძემ დაინტერესდა თუ რა მიზნით ხდება აღნიშნული მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ გადაცემა მალხაზ ჩხიკვაძემ განმარტა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცემის მიზანია, აღნიშნულ ტერიტორიაზე სახანძროს ახალი შენობის აშენება, რადგამ ამჟამად არსებული შენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ხოლო ის ტერიტორია რომელზეც ამჟამად მდებარეობს სახანძრო სამსახური კვლავ უბრუნდება მუნიციპალიტეტს საკუთრებად, რაც მისი ადგილმდებაროებიდან გამომდინარე საკმაოდ კარგი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პერსპექტივას ქმნის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

კოსტავს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს.

V საკითხი: შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალიდან ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტობუსი „პაზ-42-24“-ის (სახელმწიფო ნომერი - VZZ561; გამოშვების წელი - 2007; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - XIM42340070001647) ამოღების მიზნით, შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

5. შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალიდან ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტობუსი „პაზ-42-24“-ის (სახელმწიფო ნომერი - VZZ561; გამოშვების წელი - 2007; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - XIM42340070001647) ამოღების მიზნით, შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

კ.კალანდაძემ აღნიშნა, რომ შპს „ავტოსერვისცენტრი“ ახალი დაფუძნებულია, რატომ მოხდა აღნიშნული ქონების საწესდებო კაპიტალში შეტანა, თუ ის არალიკვიდური ქონება იყო და დღეს მისი საწესდებო კაპიტალიდან ამოღება გვიწევს?

მალხაზ ჩხიკვაძემ განმარტა, რომ თავდაპირველად შპს საწესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო და საგზაო სამშენებლო სპეც-ტექნიკა მოექცა ერთი იურიდიული პირის საკუთრებაში, რათა მათი მართვა და განკარგვა მოწესრიგებული ყოფილიყო. შპს მიზნებისა და ამოცანების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული ავტობუსი ტექნიკურად სრულად გამართულია, მისი ყოველდღიური მოხმარება საკმაოდ მძიმე და წამგებიანი იქნებოდა შპს-სათვის, გამომდინარე აქედან, იმისათვის რომ არ მოხდეს აღნიშნული ქონების დროთაგანმავლობაში გაუფასურება, სასურველია რომ ის დაუბრუნდეს კვლავ მუნიციპალიტეტს, რომელიც გადაწყვეტს მის რეალიზაციას ან რაიმე სხვა ფორმით განკარგვას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალიდან ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტობუსი „პაზ-42-24“-ის (სახელმწიფო ნომერი - VZZ561; გამოშვების წელი - 2007; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - XIM42340070001647) ამოღების მიზნით, შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ, განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს.

VI საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

კ. მდინარაძემ მ. მინდაძემ რომლებმაც დასვეს კითხვა ქონების არ გაყიდვის შემთხვევაში განმეორებითი აუქციონის ვადებისა და საფასურის შესახებ, რაზედაც ლელა მდინარაძემ აღნიშნა,რომ განმეორებით საჯარო აუქციონზე მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საფასური შეიძლება 50 %-მდე შემცირდეს, თუ კიდევ არ გაიყიდა შეიძლება კიდე შემცირდეს საკრებულოს მიერ.

თუ არ მოხდება საჯარო აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, ვადაგაგრძელებული (აუქციონი, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამასთან, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, ამ ქონების იმავე პირობებით ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ) აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ, განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს.

VII საკითხი:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

7. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით გუდავაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> თ.ხუხუნაიშვილმა, გ. გოგიშვილმა, გ. სეხნიაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

ცნობად იქნას მიღებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

VIII საკითხი:

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

<u>მოისმინეს:</u>

8.ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი შენგელია

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

კ.კალანდაძემ აღნიშნა ,რომ ტენდერების შედეგად დარჩენილი ეკონომიკის რაოდენობის შესახებ გიორგი შენგელიამ განმარტა, რომ ჩატარებული ტენდერების შედეგად შესაბამის მუხლში დარჩა ეკონომია 273.581.00 (ორასსამოცდაცამეტი ათას ხუთასოთხმოცდაერთი) ლარი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 12 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

ცნობად იქნას მიღებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: დავით გუდავაძე

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ”– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისამ განიხილა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისამ განიხილა ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა

კოსტავს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისამ განიხილა კოსტავს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (მიწა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნა არ გააჩნია.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა

შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალიდან ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტობუსი „პაზ-42-24“-ის (სახელმწიფო ნომერი - VZZ561; გამოშვების წელი - 2007; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - XIM42340070001647) ამოღების მიზნით, შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისამ განიხილა შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალიდან ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტობუსი „პაზ-42-24“-ის (სახელმწიფო ნომერი - VZZ561; გამოშვების წელი - 2007; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - XIM42340070001647) ამოღების მიზნით, შ.პ.ს. „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნა არ გააჩნია.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნა არ გააჩნია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია 2015 წლის მე_3 კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხები	კვარტალი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	განხილვის დრო
1	2	3	4	5
1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ	III კვარტალი	სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია დ.გუდავაძე	ივლისი
2	ანგარიში აიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურება „სხივის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ		სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ნფრასტრუქტურის კომისია დ.გუდავაძე	აგვისტო
3	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ		სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ნფრასტრუქტურის კომისია დ.გუდავაძე	სექტემბერი

ანგარიში ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2015 წელს განხორციელდება 18 ინფრასტრუქტურული პროექტი. დღეის მდგომარეობით 11 პროექტზე უკვე დადებულია ხელშეკრებულება და დაწყებულია სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, 5 პროექტზე გამოვლენილია გამარჯვებული და მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადების პროცესი, ხოლო ერთ პროექტზე ბუკისციხე-ზემო სურების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოცხადდება მიმდინარე კვირაში. რაც შეეხება კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაობს, ჩვენს მიერ გაგზავნილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში განკარგულების პროექტი აღნიშნული სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელებასთან დაკავშირებით, ველოდებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას.